



## ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

### ოქმი N 05

28 აპრილი 2021 წელი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2021 წლის 28 აპრილს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

**სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები:** ნოდარ გიორგიძე, ირინა ტყემელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, თემურ მინაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე სიმონ ჭოლოკავა, შადიმან გორგოძე, მამუკა გორგოძე, მაია კბილაშვილი, თეონა ფახურიძე, მაკა მესხი, დიომიდე კიკნაველიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, ირაკლი გოგსაძე, ვლადიმერ წიქორიძე, გიორგი რობაქიძე, შალვა დათუაძე.

სულ: 21 საკრებულოს წევრი.

**არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები:** გვანცა გრძელიძე, გურამი კიკნაველიძე, რუსუდან გეჭაძე, ზაზა ზივზივაძე, ალექსი ლომინაშვილი, გაბრიელ ღიბრაძე, შალვა მშვილდაძე.

**ასევე სხდომას ესწრებოდნენ:**

**მუნიციპალიტეტის მერიიდან:**

**არჩილ გოგსაძე - მუნიციპალიტეტის მერი.**

**მირიან ფულარიაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.**

**ბიძინა ჯაბიძე - არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი - "ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის დირექტორი.**

**დიმიტრი თედოშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი.**

**საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.**

**ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.**

**ირინე აბაიშვილი- საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.**

**რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21 წევრმა, დაესწრო 19 საკრებულოს წევრი.**

**სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. ნ. გიორგიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:**

### დღის წესრიგი

1. არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი - "ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის ანგარიში 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ბიძინა ჯაბიძე - არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი -  
“ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის დირექტორი.

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა მშვილდაძის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

მომხს. გვანცა გრძელიძე- საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო  
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

3. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის № 112 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს. გვანცა გრძელიძე- საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო  
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მეორე ობჩის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ მეორე ობჩაში 27-ე ქუჩისათვის სახელის მინიჭების შესახებ;

მომხს. გვანცა გრძელიძე- საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო  
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, ფრაქციის რეგისტრაციის ცნობად მიღების შესახებ;

მომხს. გვანცა გრძელიძე- საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო  
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა ეთიკისა და ქცევის წესების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე- საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო  
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

7. ბაღდათის მუნიციპალიტეტში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის და რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ.

მომხს. დიმიტრი თედომეილი - მუნიციპალიტეტის მერიის  
არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი.

8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი;

9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი;

10. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი;

11. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბაღდათში წერეთლის ქ. #10-ში მდებარე, სოფ. დიშის ყოფილი საკრებულოს შენობის პირველ სართულზე მდებარე ფართებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №42 89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი;

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 19 წინააღმდეგი - 0  
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

მთავარი 1. არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი - “ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის ანგარიში 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

ანგარიშის ძირითადი მიმართულებები ბიუროს წევრებს გააცნო: **ზიძინა ჯაბიძემ - არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი - “ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის დირექტორი.**

**აზრი გამოთქვა: ირინა ტყემელაშვილმა, ფრიდონ მაჩიტაძემ, მამუკა გორგოძემ, ტარიელ ჩაკვეტაძემ, ნოდარ გიორგიძემ.**

**კომისიის დასკვნა სხდომაზე წარადგინა : ირინა ტყემელაშვილმა -** საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ **გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 25 28.04.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე-18 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობდა 18 საკრებულოს წევრი

**მ ო ს მ ი ნ ე ს : 2.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა მშვილდაძის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

განკარგულების პროექტი და კომისიის დასკვნა სხდომაზე წარადგინა: **გვანცა გრძელიძემ - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე**

საკრებულოს სხდომამ ცნობად მიიღო საკრებულოს განკარგულება N42 26 28.04.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე-18 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობდა 18 საკრებულოს წევრი

**მ ო ს მ ი ნ ე ს : 3.** „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის № 112 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ

**დადგენილების პროექტი სხდომაზე წარმოადგინა: გვანცა გრძელიძემ- საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი იძლევა საშუალებას, პეტიციის წარმდგენი ამომრჩეველთა 1%, საკრებულოს გადაწყვეტილებით დაიწიოს უფრო დაბალ ნიშნულზე, რათა ამომრჩეველს მიეცეს საშუალება, ნაკლები თანამოაზრეებთან ერთად საკრებულოში წარმოადგინონ პეტიცია მათვის საჭირო საკითხებზე“. როგორც გ. გრძელიძემ აღნიშნა, მას ჰქონდა კონსულტაციები საკრებულოს კომისიებთან და ფრაქციებთან და შეჯერდნენ აღნიშნულმა პროცენტმა დაიწიოს 0,5%-მდე, რაც წარმოდგენილი იქნა დადგენილების ცვლილებით.**

**აზრი გამოთქვეს: მაია კბილაშვილმა, გურამ ჩხეიძემ, გურამი კიკნაველიძემ მამუკა გორგოძემ, ნოდარ გიორგიძემ.**

კომისიის დასკვნა გააცნო: **გ. გრძელიძემ**

საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 8 - 28.04.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე-18 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობდა 18 საკრებულოს წევრი

**მოსმინეს: 4.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის მეორე ობჩის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ მეორე ობჩაში 27-ე ქუჩისათვის სახელის მინიჭების შესახებ.

**განკარგულების პროექტი და მასზე თანდართული მასალები ბიუროს წევრებს გააცნო გვანცა გრძელიძემ- საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „საკრებულო ამ ეტაპზე მიიღებს გადაწყვეტილებას დაყენებული საკითხის მოწონების თაობაზე, რის შემდგომ სამთავრობო კომისიასთან შეთანხმების შემდეგ მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება“ .**

**აზრი გამოთქვს:** მაია კბილაშვილმა, გაია სახამბერიძემ, გურამ ჩხეიძემ, ირინა ტყეშელაშვილმა.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 27 - 28.04.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე- 18 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

**მოსმინეს: 5.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ.

**განკარგულების პროექტი ფრაქციის რეგისტრაციის ცნობად მიღების შესახებ ბიუროს წევრებს წარუდგინა: გვანცა გრძელიძემ - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „ერთი თვის წინ აღნიშნული ფრაქცია გაუქმდა მისი მესამე წევრის გარდაცვალების გამო, ამჟამად ფრაქციას დედამატი ახალი წევრი საკრებულოდან და საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას განცხადებით მომართა ფრაქციის წევრებმა ფრაქციის ხელახლა რეგისტრაციაზე, რისთვისაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგინეს ფრაქციის დაფუძნების ოქმი, პლატფორმა და წესდება, რომელიც სრულად შეესაბამება საკრებულოს რეგლამენტს.**

**აზრი გამოთქვს:** მამუკა გორგოძემ, ნოდარ გიორგიძემ.

საკრებულოს სხდომამ ცნობად მიიღო საკრებულოს განკარგულება N 42 28 - 28.04.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე- 18 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

**მ ო ს მ ი ნ ე ს:** 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა ეთიკისა და ქცევის წესების შესახებ.

განკარგულების პროექტი ბიუროს წევრებს გააცნო: **გვანცა გრძელიძემ** - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

**აზრი გამოთქვს:** გურამი კიკნაველიძემ, ირინა ტყეშელაშვილმა, ნოდარი გიორგიძემ.

**საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 29 - 28.04.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე-18 წინააღმდეგი- 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

**მ ო ს მ ი ნ ე ს:** 7. ბაღდათის მუნიციპალიტეტში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის და რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ.

**დადგენილების პროექტი სხდომაზე წარადგინა:** დიმიტრი თედოშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი.

**კომისიის დასკვნა საკითხთან დაკავშირებით წარმოადგინა:** სიმონ ჭოლოკავამ-საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

**საკრებულოს სხდომა ადგენს:**

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 9 - 28.04.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე-18 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობდა 18 საკრებულოს წევრი

**მ ო ს მ ი ნ ე ს:** 8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო - სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

**საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 30 - 28.04.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე- 18 წინააღმდეგი- 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

**მ ო ს მ ი ნ ე ს: 9.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო- სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

**საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 31 - 28.04.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე- 18 წინააღმდეგი- 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

**მ ო ს მ ი ნ ე ს: 10.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო- სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

**საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 32 - 28.04.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე- 18 წინააღმდეგი- 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

**მ ო ს მ ი ნ ე ს: 11.** „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბაღდათში წერეთლის ქ. N10-ში მდებარე, სოფ. დიშის ყოფილი საკრებულოს შენობის პირველ სართულზე მდებარე ფართებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №42 89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო- სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 33 - 28.04.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 18 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

ნოდარი გიორგიძე